საჯარო სამართლის იურიდიული პირი _
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/152 (კოდიფიცირებული)

ქ. ბათუმი **08 დეკემბერი, 2020 წ.**

ბსუ-ს 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის ცვლილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილების (ამ დადგენილებაში საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ნოემბრის N699 დადგენილებით შეტანილი ცვლილების), ,,სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის N01-227/ო ბრძანების, ,,ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 19 მაისის N01-02/47 ბრძანების, ,,ბსუ-ში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის დამტკიცებისა და 2020-2021 სასწავლო წლის ზოგიერთი საორგანიზაციო ღონისძიების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 1 ოქტომბრის N01-02/130 ბრძანების, „2020-2021 სასწავლო წელს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 26 ნოემბერის ბრძანების (MES 2200001127365), ,,ბსუ-ს 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ” ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 6 აგვისტოს N06-01/44 დადგენილების და **,,უქმე დღეების განსაზღვრის შესახებ“** საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ნოემბრის N698 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ნოემბრის N698 დადგენილებით 2021 წლის 3 იანვრიდან 15 იანვრის ჩათვლით უქმე დღეებად გამოცხადების შესაბამისად შევიდეს ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 6 აგვისტოს N06-01/44 დადგენილებით დამტკიცებულ ,,ბსუ-ს 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიურ კალენდარში და იგი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 1).**

2. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ასევე ველში ,,აკადემიური კალენდარი“) და სტუდენტური პორტალის მეშვეობით ეცნობოს სტუდენტებს და პერსონალს.

3. ფაკულტეტებმა უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანების შესახებ შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირება.

4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, ,,ელექტრონული სწავლების მართვის ჯგუფის წევრებს (ბსუ-ს რექტორის N01-02/130, 01.10.2020 ბრძანების მიხედვით), დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს და ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

(კოდიფიცირებული)
ბსუ-ს რექტორის 2020 წლის
8 დეკემბრის N01-02/ **152** ბრძანების
დანართი N1
(ცვლილებები და დამატებები: ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 01 თებერვლის N01-02/14 ; 2021 წლის 26 თებერვლის N01-02/33 და 2021 წლის 21 აპრილის N01-02/65 ბრძანებებით)

ბსუ-ს 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი

1. ბსუ-ს სასწავლო პროცესი 2020-2021 სასწავლო წელს წარიმართოს (აკადემიური კალენდარი განისაზღვროს) შემდეგ ვადებში:

ა) შემოდგომის სემესტრის სასწავლო პროცესი (ლექციები/ჯგუფში მუშაობა/სემინარები/ლაბორატორიული სამუშაო) საბაკალავრო, საბაკალავრო-სამაგისტრო, ერთსაფეხურიან, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე **(გარდა ინგლისურენოვანი** საგანმანათლებლო პროგრამისა) **დაიწყოს 2020 წლის 1 ოქტომბერს და დასრულდეს 2021 წლის 23 იანვარს** (2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული მაგისტრანტებისა და დოქტორანტების სასწავლო პროცესი წარიმართოს: მაგისტრატურის სტუდენტებისათვის - **2020 წლის 5 ოქტომბრიდან, ხოლო** დოქტორანტურის სტუდენტებისათვის - **2020 წლის 13 ოქტომბრიდან)**;

ბ) 2020 - 2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაცია/რეგისტრაციაში ცვლილებების შეტანა განხორციელდეს 2020 წლის 07 სექტემბრიდან 2020 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით, სტუდენტური პორტალის მეშვეობით;

გ) 2020 - 2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში პირადი განცხადების საფუძველზე სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ განცხადებების წარმოდგენა განხორციელდეს 2020 წლის 21 სექტემბრიდან 2020 წლის 5 ოქტომბრის ჩათვლით, სტუდენტური პორტალის მეშვეობით;

დ) საშობაო არდადეგები გამოცხადდეს 2020 წლის 31 დეკემბრიდან 2021 წლის 15 იანვრის ჩათვლით;

ე) შემოდგომის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2021 წლის 25 იანვრიდან 17 თებერვლის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2021 წლის 19 თებერვლიდან 27 თებერვლის ჩათვლით; *(ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 01 თებერვლის N01-02/14 ბრძანებით)*

ვ)გაზაფხულის სემესტრისათვის სტუდენტთა მიერ აკადემიური რეგისტრაცია/აკადემიურ რეგისტრაციაში ცვლილებების შეტანის პერიოდად განისაზღვროს 2021 წლის 01 მარტი - 07 მარტი; *(ცვლილებები: ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 01 თებერვლის N01-02/14 ბრძანებითა და 2021 წლის 26 თებერვლის N01-02/33 ბრძანებით)*

ზ)გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესი (ლექციები/ჯგუფში მუშაობა/სემინარები/ლაბორატორიული სამუშაო) დაიწყოს 2021 წლის 15 მარტს და დასრულდეს 2021 წლის 03 ივლისს *(ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 26 თებერვლის N01-02/33 და 2021 წლის 21 აპრილის N01-02/65 ბრძანებებით)*

თ) გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2021 წლის 05 ივლისიდან 25 ივლისის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2021 წლის 26 ივლისიდან 01 აგვისტოს ჩათვლით; *(ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 26 თებერვლის N01-02/33 და 2021 წლის 21 აპრილის N01-02/65 ბრძანებებით)*

ი) კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება განხორციელდეს 2021 წლის 02 აგვისტოდან 06 აგვისტოს ჩათვლით. *(ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 26 თებერვლის N01-02/33 და 2021 წლის 21 აპრილის N01-02/65 ბრძანებებით)*

2. **2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესი დაიწყება 2021 წლის 15 მარტიდან დისტანციური ფორმატით,** გარდა სამედიცინო (ქართულენოვანი/ინგლისურენოვანი), სტომატოლოგიის, ფარმაციის, ფიზიკური მედიცინა და სამედიცინო რეაბილიტაციის, ქიმიის, ფიზიკის, არქიტექტურის და ტელეკომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამებისა, რომლებზეც თეორიული ნაწილი (ლექციები) ჩატარდება დისტანციურად, ხოლო პრაქტიკული, ლაბორატორიული და კლინიკური კომპონენტი შესრულდება საუნივერსიტეტო სივრცეში და სამედიცინო ბაზებზე. *(ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 26 თებერვლის N01-02/33 ბრძანებით)*

3. გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესის სააუდიტორო სივრცეში (არადისტანციური ფორმატით) გაგრძელების გადაწყვეტილება მიიღება ეპიდვითარების რისკების მკვეთრად შემცირების შემთხვევაში. *(ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 26 თებერვლის N01-02/33 და 2021 წლის 21 აპრილის N01-02/65 ბრძანებებით)*

4. შუალედური გამოცდები ჩატარდება დისტანციური ფორმატით 2021 წლის 22 მაისიდან 30 მაისის ჩათვლით (ზუსტი დრო სტუდენტებს ეცნობებათ დამატებით). *(დამატება ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 26 თებერვლის N01-02/33 ბრძანებით; ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 21 აპრილის N01-02/65 ბრძანებით)*

5. სასწავლო პროცესი (ლექციები/ჯგუფში მუშაობა/სემინარები/ლაბორატორიული სამუშაო) ჩატარდეს ყოველ დღე, გარდა შაბათ-კვირისა (საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია ამ მიზნით შაბათის გამოყენება), ფაკულტეტზე შემუშავებული სასწავლო ცხრილების შესაბამისად. *(დამატება ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 26 თებერვლის N01-02/33 ბრძანებით)*

6. აკადემიური საათი განისაზღვრება 50 წუთით, ხოლო მეცადინეობათა შორის შუალედი/შესვენება - 10 წუთით. დისტანციური სწავლების პირობებში, აკადემიური საათის ხანგრძლივობა განისაზღვრება ბსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში (სტუდენტური პორტალზე) განთავსებული ინსტრუქციით **(არანაკლებ 40 წთ-ით,** სტუდენტთა საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ელექტრონული კომუნიკაციის პირობით), თანახმად ,,ბსუ-ში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის დამტკიცებისა და 2020-2021 სასწავლო წლის ზოგიერთი საორგანიზაციო ღონისძიების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 1 ოქტომბრის N01-02/130 ბრძანებისა. *(დამატება ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 26 თებერვლის N01-02/33 ბრძანებით)*

7. წინამდებარე კალენდარით დადგენილი თარიღებისა და სასწავლო პროცესის ფორმატის ცვლილების საჭიროების შემთხვევაში იგი ეცნობება სტუდენტებს სტუდენტური პორტალის მეშვეობით. *(დამატება ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 26 თებერვლის N01-02/33 ბრძანებით)*

აკადემიური კალენდარი
2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი

სექტემბერი

სასწავლო კვირა	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
		1	2	3	4	5	6
	7	8	9	10	11	12	13
	14	15	16	17	18	19	20
	21	22	23	24	25	26	27
	28	29	30				

ოქტომბერი

სასწავლო კვირა	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
I				1	2	3	4
II	5	6	7	8	9	10	11
III	12	13	14	15	16	17	18
IV	19	20	21	22	23	24	25
V	26	27	28	29	30	31	

ნოემბერი

სასწავლო კვირა	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
V							1
VI	2	3	4	5	6	7	8
VII	9	10	11	12	13	14	15
VIII	16	17	18	19	20	21	22
IX	23	24	25	26	27	28	29
X	30						

დეკემბერი

სასწავლო კვირა	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
X		1	2	3	4	5	6
XI	7	8	9	10	11	12	13
XII	14	15	16	17	18	19	20
XIII	21	22	23	24	25	26	27
XIV	28	29	30	31			

იანვარი

სასწავლო კვირა	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
XIV					1	2	3
	4	5	6	7	8	9	10
	11	12	13	14	15	16	17
XV	18	19	20	21	22	23	24
	25	26	27	28	29	30	31

თებერვალი

სასწავლო კვირა	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
	1	2	3	4	5	6	7
	8	9	10	11	12	13	14
	15	16	17	18	19	20	21
	22	23	24	25	26	27	28

- სასწავლო დღე
- გამოცდის დღე
- დასვენების დღე

მარტი

სასწავლო კვირა	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
	1	2	3	4	5	6	7
	8	9	10	11	12	13	14
I	15	16	17	18	19	20	21
II	22	23	24	25	26	27	28
III	29	30	31				

აპრილი

სასწავლო კვირა	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
III				1	2	3	4
IV	5	6	7	8	9	10	11
V	12	13	14	15	16	17	18
VI	19	20	21	22	23	24	25
VII	26	27	28	29	30		

მაისი

სასწავლო კვირა	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
VII						1	2
	3	4	5	6	7	8	9
VIII	10	11	12	13	14	15	16
IX	17	18	19	20	21	22	23
X	24	25	26	27	28	29	30
XI	31						

ივნისი

სასწავლო კვირა	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
XI		1	2	3	4	5	6
XII	7	8	9	10	11	12	13
XIII	14	15	16	17	18	19	20
XIV	21	22	23	24	25	26	27
XV	28	29	30				

ივლისი

სასწავლო კვირა	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
XV				1	2	3	4
	5	6	7	8	9	10	11
	12	13	14	15	16	17	18
	19	20	21	22	23	24	25
	26	27	28	29	30	31	

აგვისტო

სასწავლო კვირა	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
							1
	2	3	4	5	6	7	8
	9	10	11	12	13	14	15
	16	17	18	19	20	21	22
	23	24	25	26	27	28	29
	30	31					

- სასწავლო დღე

- გამოცდის დღე

- დასვენების დღე